ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

ბრძანება:**ბ29. 29232774**

თარიღი:**04/10/2023**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში),თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (იურიდიულ საკითხებში),თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში) ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტის , საქართველოს კანონის ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ 34-ე, 35-ე მუხლების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. გამოცხადდეს ღია კონკურსი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში),თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (იურიდიულ საკითხებში),თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში) ვაკანტურ თანამდებობებზე 2023 წლის 04 ოქტომბრიდან.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში(მ/შ) და კონკურსი გამოცხადდეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე -hr.gov.ge-ზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი. წერეთლის ქ. №7) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM